

შპს სიპაუერი
 ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
 31 დეკემბერი, 2019
 ერთეული ლარი

აქტივები	შენიშვნა	31 დეკემბერი 2019	31 დეკემბერი 2018
ფული და ფულის ეკვივალენტები		4,939	19,415
სავაჭრო მოთხოვნები		28,258	37,509
გადახდილი ავანსები		-	633,753
მარაგები		161,000	184,910
ძირითადი საშუალებები	3	33,658,972	33,669,043
სხვა მიმდინარე აქტივები	4	590,131	-
სხვა გრძელვადიანი აქტივები		-	221,839
სულ აქტივები		34,443,300	34,766,469
სავაჭრო ვალდებულებები		139,799	131,501
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ		-	-
საგადასახადო ვალდებულებები		-	84,185
სულ ვალდებულებები		139,799	215,686
კაპიტალი		29,096,073	26,172,885
გაუნაწილებელი მოგება/(ზარალი)		5,207,428	8,377,898
სულ საკუთარი კაპიტალი		34,303,501	34,550,783
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები		34,443,300	34,766,469

შპს სიპაუერი
საქმიანობის შედეგი
31 დეკემბერი, 2019
ერთეული ლარი

	შენიშვნა	2019	2018
შემოსავალი		-	-
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	5	(2,416,183)	(3,190,592)
დასაქმებულთა ანაზღაურება		(98,110)	(145,752)
იჯარის ხარჯი		(3,000)	(9,780)
საპროცენტო ხარჯი		(98,990)	(95,541)
სხვა შემოსავალი		79,313	39,788
სულ წმინდა საოპერაციო შემოსავალი/(ხარჯი)		(2,536,970)	(3,401,877)
გრძელვადიანი აქტივების გაუფასურების ხარჯი		-	(118,287,645)
ფინანსური/არაფინანსური მოთხოვნების გაუფასურების ხარჯი		(633,500)	-
მოგება/(ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯამდე		(3,170,470)	(121,689,522)
მოგების გადასახადი		-	-
მოგება/(ზარალი)		(3,170,470)	(121,689,522)
მთლიანი სრული შემოსავალი/(ზარალი)		(3,170,470)	(121,689,522)

შპს სიპაუერი
კაპიტალის მოძრაობა
31 დეკემბერი, 2019
ერთეული ლარი

1 იანვარი, 2019

საკუთარი კაპიტალის საწყისი ნაშთი	34,550,783
კაპიტალის ზრდა/(შემცირება)	2,923,188
განაწილება მესაკუთრეებზე (მათ შორის დივიდენდი)	-
სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში	(3,170,470)
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	34,303,501
31 დეკემბერი, 2019	

შპს სიპაუერი

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება

31 დეკემბერი, 2019

ერთეული ლარი

	2019	2018
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	(2,937,664)	(4,202,211)
წმინდა ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან	2,923,188	4,216,343
წმინდა ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან	-	-
წმინდა ზრდა/(კლება) ფულსა და ფულის ეკვივალენტებში	(14,476)	14,132
სავალუტო კურსის ეფექტი	-	-
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის დასაწყისში	19,415	5,283
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის ბოლოს	4,939	19,415

სააღრიცხვო პოლიტიკა და ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

1. ზოგადი ინფორმაცია:

შპს სიპაუერი შეზღუდული პასუხისმგებლობის კომპანიაა, რომელიც რეგისტრირებულია საქართველოში. კომპანიის ფაქტობრივი მისამართია: აღმაშენებლის ქუჩა #2, ქ.გარდაბანი, საქართველო. კომპანიის ძირითადი საქმიანობა ნახშირზე მომუშავე თბოელექტროსადგურის მშენებლობაა. შპს სიპაუერის საბოლოო მფლობელი კომპანიაა საქართველოს ინდუსტრიული ჯგუფი ჰოლდინგი.

2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი და სააღრიცხვო პოლიტიკა:

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად. იგი წარმოდგენილია საქართველოს ფულად ერთეულში (ლარი).

ძირითადი საშუალებები:

ძირითადი საშუალებები წარმოდგენილია როგორც ღირებულებას გამოკლებული აკუმულირებული ცვეთა და სადაც საჭიროა გაუფასურების რეზერვი.

ძირითადი საშუალებების ცვეთის კალკულაცია ხდება წრფივი მეთოდით, რათა ღირებულება განაწილდეს მათ სასარგებლო სასიცოცხლო ვადაზე ნარჩენ ღირებულებამდე.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები:

რეალიზაცია ძირითადად ხორციელდება ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით და დებიტორულ დავალიანებას პროცენტი არ ერიცხება. ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს გაანალიზდება სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულებები, რათა დადგინდეს არსებობს თუ არა ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ ეს თანხები არ არის ამოღებადი. ამგვარი მტკიცებულების არსებობის შემთხვევაში გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგება/ზარალში.

სავაჭრო ვალდებულებები:

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით აღებულ ვალდებულებებს და მათ პროცენტი არ ერიცხება.

3. ძირითადი საშუალებები:

	ძირითადი საშუალებები
თვითღირებულება (ერთეული ლარი)	
1 იანვარი, 2019	33,705,894
31 დეკემბერი, 2019	33,669,043
დაგროვილი ცვეთა	
1 იანვარი, 2019	(36,851)
31 დეკემბერი, 2019	(10,071)
საბალანსო ღირებულება	
1 იანვარი, 2019	33,669,043
31 დეკემბერი, 2019	33,658,972

4. სხვა მიმდინარე აქტივები:

სხვა მიმდინარე აქტივები მოიცავს საგადასახადო ავანსს.

5. ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი:

კომპანიის ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯები ძირითადად მოიცავს საგადასახადო ხარჯს, საინფორმაციო, საკონსულტაციო & პროფესიულ ხარჯს 1,558,510 ლარის ოდენობით და სხვა ხარჯებს.

6. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები:

საანგარიშო პერიოდის შემდგომ ისეთ მნიშვნელოვან გარემოებებს, რომელთა ფინანსურ ანგარიშგებაში განმარტება საჭირო იქნებოდა, ადგილი არ ჰქონია.

30 სექტემბერი, 2020

გენერალური დირექტორი

Oleksey Vilkhovoy

მთავარი ბუღალტერი

რუსუდან ჩაგელიშვილი

6. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები:

საანგარიშო პერიოდის შემდგომ ისეთ მნიშვნელოვან გარემოებებს, რომელთა ფინანსურ ანგარიშგებაში განმარტება საჭირო იქნებოდა, ადგილი არ ჰქონია.

30 სექტემბერი, 2020

გენერალური დირექტორი

Oleksey Vilkhovoy



მთავარი ბუღალტერი

რუსუდან ჩაგელიშვილი